№ 120
ივნისის 6, პარასკევი 1903 წ.
1877

ივერია

№ 120
ივნისის 6, პარასკევი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 6 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ.25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

მღვდელი **რომანოზ დეკანოსიძე** მეუღლითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა თვისთა მათის მხოლოდ შობილის ასულის ცხრა წლის დაკრძალულის

მამიკას

გადმოსვენებას წმ. გიორგის ეკლესიის გალავნიდამ მათ მიერ აღშენებულს სკოლის წმ. მთავარ ანგელოზის ეკლესიაში და სთხოვენ მათ მობრძანდნენ **შვიდს თიბათვეს**, დილის 9 საათზე სოფ. ხარაგაულში (ბელოგორში), სადაც **იმერეთის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ლეონიდი** შეასრულებს მიცვალებულის სულის მოსახსენებელს წირვას და პანაშვიდს. (3—2)

ისყიდება სურამში

იუნკერთა სასწავლებლის პირდაპირ მშვენიერი სააგარაკო ადგილები

„საჩხეიძო“

თვისის მდებარეობით და ჰავით ჰსჯობია ყველა საგარაკო ადგილებს. დასარწმუნებლად ვსთხოვ მყიდველებს ინახულონ ადგილობრივ.

მამული მდებარეობს შოსის გზის პირად, შიგ მამულში გაყვანილია ფართო გზები, მოაგარაკეთა სასეირნოდ დატოვებულია ორი მოზდილი „პარკი“ **ფიჭვისა** და **მუხისა**, პირობების გასაგებათ შეიძლება მიჰმართოთ:

სურამში: კნეინა ევა გიორგის ასულს ჩაჲიძისას,

ტფილისში: „ივერიის“ რედაქციის კანტორას და ნოტარიუსს მღებროვის კანტორაში (ერევნის მოედანი, სახლი № 2). (0—4).

სამკერვალო

ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად

☞ **ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.** ☜

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჰრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

აქვე მიიღება შესაკერად

კაბა-ანაფორა

და სხვა სასულიერო სამოსელი.

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჰრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.**

შაბათს, 5 ივნისს საღამოს 8 საათზე სამხედრო საბჭოს დარბაზში, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სადგურში, დანიშნულია

რუსეთის საიმპერატორო, საგეოგრაფიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა წლიური კრება

შემდეგის პროგრამით:

1) წაკითხვა საზოგადოების მოქმედების ანგარიშისა 1902 წელს.

2) სარევიზიო კომისიის დანიშვნა.

3) ამორჩევა ნამდვილ წევრთა.

4) მოხსენება ვ. ა. სოკოლოვისა, 1902 წ. ზაფხულში დიდ არარატზე ასვლის შესახებ, რომელიც ბუნდოვან სურათებათ აქვს განმარტებული.

კრება საჯაროა: შესვლა უფასოა.

(3—უ—2)

ნაფიცი ვექილი

ლ. ს. სტალინსკი

გადავიდა ველიკოკნიაჟევსკის ქუჩაზე სახლი № 40 (4—131—4)

მემამულეთათვის საყურადღებოდ.

მსურს ვიყიდო ქ. ტფილისის მახლობლად, არა უშორეს 20 ვერსისა, ან რკინის გზაზე სადგ. კასპამდის **მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწა,** 2—10 დესიატინამდის, ერთ ნაჭრად. ამ რიცხვში სარწყავი ადგილი არა ნაკლებ 1 დესიატინისა; გაყიდვის მსურველთ მოგვმართონ წერილით „ივერიის“ რედაქციაში, ი. ნ—ს.

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

შემთხვევით იყიდება

იაფად

ვერაზედ საუფლისწულო სარდაფის მახლობლად **ორ-სართულიანი სახლი ფლიგელებით** (30 ოთახი, 9 სამზარეულო, 4 მოსამსახურის ოთახი და 4 სარდაფი) მიწა 120 ჩორსო საჟენია. ბანკის ვალი—14.900 მან. ნაღდად საჭიროა **მხოლოდ** 5,000 მ.

მსურველთ მიჰმართონ გრ. ყიფშიძეს „ივერიის“ რედაქციაში. (5—2)

კბილის ექიმი

ივანე ჰავლეს ძე

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო-ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანახოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. ზძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვების ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ვ. ს. ლევი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროთერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—7½ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

კერძო სამკურნალო

ექიმის მუსხელაშვილისა

(გედევანიშვილისეული)

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

მ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—ორშ., ოთხშ.. და შაბათ. 10—11.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით 10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. ბედმანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 ს.

ზრ. ვ. სოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

საღამოთი:

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ოთხშ. და შაბათი. 5—6.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მუდმივი ექიმი გ. დ. ნასარიძე.

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

46—8 ტელეფონი № 617

ტფილისი

◆ სამეურნეო საზოგადოების საბჭომ აცნობა ტფილისის გუბერნიის მარშალს, რომ 15 ივლისს მევენახეთა და ღვინის დამყენებელთა კრება იქმნება ქ-ს მოსკოვში, და ხომ არ ინებებთ დეპუტატების გაგზავნას, რადგანაც ამ კრების საგანი მეტად საყურადღებო უნდა იყოს ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთათვისო. თავის მხრივ, სამეურნეო საზოგადოებამ აირჩია მოხსენებულ კრებაზედ დასასწრებლად ორი დეპუტატი: თ-დი ს. ვახვახიშვილი, გამგე „კახეთის“ მევენახეთა ამხანაგობისა, და ბ-ნი ქ. ვერმიშევი, რომელიც ამ ჟამად პეტერბურგშია.

◆ სათავად-აზნაურო კომისიამ, რომელსაც არწრუნისეული ქარვასლა აბარია, გარდასწყვიტა მომავალ წლიდგან თვით იკისროს თეატრის შენობის განმგებლობა. ქართულ დრამატიულ საზოგადოებას დაეთმობა ქართულ წარმოდგენებისათვის ყოველი ხუთშაბათი და ორი კვირა დღე თვის განმავლობაში.

◆ მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოება ჰგზავნის ამ ზაფხულს კავკასიაში ლაზარეს ინსტიტუტის პროფესორს ა. ს. ხახანაშვილს საარქეოლოგიო გამოკვლევისათვის და ავალებს უმთავრესად სვანეთი მოიაროს, შეისწავლოს და ასწეროს იქაური ეკლესიები, ძველი საეკლესიო ნივთები და მათი ფოტოგრაფიულია სურათებიც გადიღოს.

◆ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ გამგეობამ დაურიგა თვის აგენტებს საზოგადოების 1902 წლის ანგარიშის წიგნაკები, რომლებიც საზოგადოების წევრებს შეუძლიანთ მათგან მიიღონ.

◆ ცეცხლის მქრობელ რაზმისათვის შენობის ასაგებად ქალაქმა გადასდო 50,000 მანათი, ხოლო, ამშენებელ კომისიის აზრით, ეს ფული განზრახულ შენობას არ ეყოფა და კიდევ მოუნდება 14,000 მანათი.

◆ სტამბის პატრონმა კ. მარტიროსიანცმა თხოვნა მიართვა ფინანსთა (?) სამინისტროს და ნებართვასა სთხოვს, რომ ტფილსსში სკოლა დაარსოს, რომელშიაც მსურველთ სტამბის საქმეს ასწავლიან ორის წლის განმვლობაში: პირველ წელს წერა-კითხვას ასწავლიან და მეორეს—სლამბის საქმეს.

◆ სულით ავადმყოფთა სადგური, ამალოების ქუჩაზედ, ტფილისში, ქალაქის გამგეობამ კვალად დაიქირავა ორის წლის ვადით, წელიწადში 2,100 მანათად.

◆ თავმჯდომარე ქალაქის საბჭოს განსაკუთრებულ კომისიისა, რომელსაც დავალებული აქვს თვალ-ყური ადევნოს, რომ ბელგიის უსახელო საზოგადოებამ მტკიცედ აასრულოს თავისი ხელშეკრულობა ქალაქთან, სთხოვს ქალაქის გამგეობას ტეხნიკოსი მოგვახმარეთ, რომ გავშინჯოთ, რკინის გზის ლიანდაგზე საზოგადოება რიგაანად ჰფენს ქვასა თუ არაო.

◆ ტფილისის ინჟენერთა დისტანცია სთხოვს ქალაქის გამგეობას მიწის მზომელი გამოგზავნეთ, რომ ქალაქისა და ხაზინის მამულების საზღვრები აღვადგინოთო მახათის მთისაკენ, სადაც თოფის წამლის საწყობია.

◆ 10 ივნისს დანიშნულია სხდომა სამეურნე საზოგადოების საბჭოსი, რომელსაც ამ ზაფხულს მეტი სხდომა აღარ ექნება.

◆ განსაკუთრებულს კომისიას, რომელიც ტეხნიკოსებისაგან არის შემდგარი, დაუფასებიათ წყალ-მილის ყოველი კუთვნილება როგორც ავჭალას ისე ტფილისში, ერთ მილიონ მანეთად. საყურადღებოა ვიცოდეთ, რა არის დღემდე დახარჯული ამ წყლის გამოყვანაზე, რა დაუჯდა ქალაქს საკუთრად მილები და მანქანები.

◆ მექოშეთა ქუჩაში, ოლანეზოვის სახლის წინ, მიწამ დაიწია, ოლანეზოვის სახლი გაირღვა და იქცევა. გუბერნიის ხუროთ-მოძღვარმა, პოლიცმეისტრის თანაშემწემ, გამგეობის წევრმა ინჟენერ ენფენჯიანცმა და ადგილობრივმა პრისტავმა დაათვალიერეს ქუჩაც და სახლიც და ჰფიქრობენ ღონისძიება მიიღონ, რომ არავინ დაზიანდეს.

◆ საელექტრო სადგურის „უნიონის“ ზედამხედველმა ეგორ ნოვგოროდმა გაუცხადა პრისტავს, რომ დამეცნენ სადგურის მოსამსახურენი, ხელ-ფეხი შემიკრეს, ჯოხითა მცემეს და მერე ოთახში დამაგდეს. სადაც გათენებამდინ ვეგდეო.

—

შეცდომის გასწორება

გუშინდელს ფელეტონში: „მოგების წინა დღით“ რამდენიმე კორექტურული შეცდომა შეგვეპარა, რომლებიც აზრს ამახინჯებენ: მე-3 გვერდზე, მესამე სვეტში, დაბეჭდილია: ...„წინედგრძნობასაც, რომელიც ჩემს სიცოცხლეში“... უნდა იყოს: „წინედგრძნობაც, რომელიც... იმავე სვეტში, მე-10 სტრიქონში, დაბეჭდილია: „რაც-კი გავაკეთე:“ უნდა იყოს: „სია კ-კი გავაკეთე“ და სხ.

თ. ევ. ბექდაბეგოვის შეწირულობა.

დღეს ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიაში გარდახდილ იქნება პანაშვიდი 1898 წელ. გარდაცვალებულის თავადის ევსევი ალექსანდრეს ძის ბეგთაბეგოვის სულის მოსახსენებლად, რომლის დაც კნ. ნინო ალექსანდრეს ასული ბექდაბეგოვისა თავის საყვარელის ძმის სახსოვრად ყოველ წელს სწირავს მიხეილის საავადმყოფოს 1,000 მ., შემდეგი აზრით:

საავადმყოფომ ამ ფულით უნდა უყიდოს ხოლმე ტანთსაცმელი და ფეხსაცმელი იმ ღარიბ ავადმყოფთ, რომელთაც საავადმყოფოდგან გამოწერის შემდეგ ან სრულებით არა აქვთ ტანთსაცმელი და ფეხსაცმელი, ან კიდევ ისეთი ძველი და დაგლეჯილი აქვთ, რომლის ქონაც არ ქონას ეთანასწორება. აგრეთვე ამ ფულიდგან ეძლევათ გზის ფული იმ ავადმყოფებს, რომელთაც საავადმყოფოდგან გამოწერის შემდეგ არ შეუძლიან შინ წასვლა თავის ხარჯით.

ვინც კი იცის, თუ რა ღარიბი და ღატაკი ავადმყოფები იმყოფებიან მიხეილის საავადმყოფოში, იმისათვის ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მათთვის ყოველ-გვარ ნივთიერ დახმარებას. კნ. ნ. ა. ბეგთაბეგოვის ასულის დახმარება ამ მხრივ დაუფასებელია. საავადმყოფო შეძლებისადაგვარად ავადმყოფებს აძლევს საექიმო დახმარებას, რომლის შემდეგაც ავადმყოფი ან სრულებით განიკურნება სენისაგან, ან იმდენად კარგა გახდება, რომ შეუძლიან შინ წასვლა; მაგრამ ხშირად მიხეილის საავადმყოფოდგან გამოწერილ ავადმყოფებს არა აქვთ ხოლმე ტანისამოსი, ფეხსამელი, ყავარჯნები, საგზაო ფული და სხ. საავადმყოფოსათვის ძალიან სამძიმოა, ამ გვარ შიშველ-ტიტველ ავადმყოფების უნუგეშოდ გარედ გამოყრა. თვითონ ავადმყოფებისათვის კიდევ უფრო სამძიმო და მავნებელია ამ გვარად გარედ გამოსვლა საავადმყოფოდგან, რადგანაც შესაძლოა ისევ ხელ-ახლად ავად გახდნენ.

აი, სწორედ ავადმყოფების ამ გაჭირებულ მდგომარეობისათვის სწირავს ფრიად გულკეთილი კნ. ბეგთაბეგოვის ასული მიხეილის საავადმყოფოს ყოველ წელს 1,000 მა-

ნეთს.

როგორც ზემოთა ვსთქვი, მიხეილის საავადმყოფოში ძალიან ბევრი ღარიბი ავადმყოფი არის ხოლმე, ამიტომ საავადმყოფოს მმართველობა ყოველ მათგანს აძლევს ცოტაოდენს შემწეობას. ამ ცოტა შემწეობასაც ძალიან დიდი და დაუფასებელი სარგებლობა მოაქვს ამ ავადმყოფებისათვის. უამისოდ სწორედ, უკიდურეს მდგომარეობაში ჩაცვივდებოდნენ ის ავადმყოფები, რომელთაც საავადმყოფოდგან შიშველ-ტიტველი მოუხდებოდათ შინ წასვლა, ნამეტნავად ზამთარში.

სასურველი იქნება, რომ სხვა ქველ-მოქმედთაც მიჰბაძონ ამ ფრიად საგულისხმიერო მაგალითს კნ. ნ. ა. ბეგთაბეგოვის ასულისას.

ექიმი ალ. მალალაშვილი.

მეფე ერეკლე და მისი წერილები.

XVII

საქართველოდგან როცა ელჩად, ან სხვა რამ საქვეყნო საქმისათვის კაცი გაიგზავნებოდა სადმე —სპარსეთში ადირბეჟანში, ანუ სხვაგან სადმე, მაშინ გზის სახარჯო, ულუფა, ფეშქაში, ქრთამი, შეკაზმული ცხენის ხარჯი, ტანისამოსი—ყველა ესე გაიწერებოდა სოფელ-სოფელ და მიჩენილი იასაულების ხელით იკრიბებოდა. მაგრამ, როცა საჩქაროთ უნდა გაეგზავნათ ვინმე საითმე, მაშინ სოფლებზედ შეწერილს ხარჯს გამოართმევდნენ ხოლმე რომელსამე შეძლებულ კაცსა. შემდეგ სიით აუკრებდნენ სოფლებიდგან იასაულები და ჩააბარებდნენ ფულის პატრონს. ერთი ამისთანა სია შემთხვევით ჩაგვივარდა ხელში იარმუკაზედ ამ ცოტა ხანში. ეს სია ფრიად საინტერესოა და შეეხება 1740—1744 წლების განმავლობაში გაწეულ ხარჯებს. ნაქონია თ. გ. ო—ნისა სამწუხაროდ თავი და ბოლო აკლია, მაგრამ რაც დარჩომილა (სიგრძით სამ არშინ ნახევარი და სიგანით 4 ვერშოკი). ესეც დიდს ინტერესს წარმოადგენს საქართველოს წარსულის მკვლევარისათვის.

მოგვყავს უეტნაკლებოდ ეს საყურადღებო ნუსხა, დაწერილი თუმანიშვილის გორჯასპი მდივნისაგან.

№ 46.„.....

ქ. ციხის გასაკეთებლის: ურმის თოვჯისათვის: ავთანდილ მდივანმა გამოგვართო (ა (10 მან.) ხარი. ღ. დველი. ა. (ორბელიანი).

ქ. ამირასლან ხანისა და სეფიხანისა ფეშკაში ქაიხოსრო ბეგის კაცმა გამოგვართო ჯ (8 მან).

ქ. კიდევ ავთანდილ მდივანს აუღია ურმის გასაშვებათ ქრთამი ხ.

ქ. ბეჟან კოსტაშაბისშვილს მივეცით ჩალიკის პატივისათვის ორდაფათ ა. ჩ. (—11 მან.)

ქ: ქაიხოსრო ბეგი (ორბელიანი) და გივი ბეგი (ამილახორი) რომ თავრიზს წავიდნენ (1741 წ.) იმათი გზის ხარჯი ჩძ. (=4 მან. 60 კოპ.)

ქ. ზაზაშვილმა ფარსადან (ციციშვილი.) გამოგვართო ულუ (მხლებელი) ბ.

ქ. სოლოღასშვილს იასეს მივეცით ა ც.(=2 მან.)

ქ. ციცისშვილის ქაიხოსროს ურდოს ხარჯი ხ. (=6 მან.)

ქ. ყანდაარის ხარჯი ყორღანასშვილის ფრიდონას ხელით ა. (=10 მან.)

ქ. ბაინდურასშვილი გიორგი ტყვეთ გამოგვართო ჩვენმა ბატონმა.

—

ქ. თხილვანა. ჩოლახასშვილმა ელისბარამ გამოგვართო. ვ. 7 მან.

ქ. ბარათიანი რომ თავრიზს წავიდნენ, ამათი ხარჯი მივეცით ხ.=6 მან.

ქ. ამირასლანხანის ფეშქაში ძ. =3 მან.

ქ. კიდევ გამოგვართვეს ხ. იასაული ყორღანას შვილი ზალია და ზაზა=6 მან.

ქ. როსტომ რევისშვილმა გამოგვართო ხ. =6 მან.

—

ქ. ახალდაბა. ბარათიანთ თავრიზის ხარჯი წ.—4 მან.

ქ. პაპა უზბაშმა გამოგვართო ხ.—6 მან.

—

ქ. კველთა. პარათიანთ თავრიზის ხარჯი. ჩ.—1 მან.

ქ. მდივანბეგის თავრიზის ხარჯი ყ. —80 კოპ.

ქ. აფულფატის შვილს ბეჟანს და დავითს მივეცით ც.—2 მან.

ქ. ყორღანასშვილს გიორგის მივეცით ძ.—3 მან.

ქ. იაუასშვილს ერაჯს მივეცით— კ.—2 მან.

ქ. ყორღანასშვილს ფრიდონას და პატარა ზალიას .ჩქ. —1 მან 60 კოპ.

—

ქ. წვერისა. ყორღანასშვილს გიორგის მივეცით ც.—2 მან.

ქ. გუგუნამ გამოგვართო .ჩ.—1 მან.

ქ. მდივანბეგის ქაიხოსროს თავრიზის ხარჯი .ჩფ.—1 მან. 90 კაპ.

ქ. ბარათიანთ თავრიზის ხარჯი .ძ.—3 მან.

ქ. ნახიდური. როსტომ ბეგის ნაიბობაში საქვეყნო ცხენისათვის მივეცით, ა ჯ, თეთრი ხემწიფიდამ გაშოვიდა და არ მოგვცა.

ქ. დემეტრე ყაფლანიშვილმა გამოგვართო ნოქრის საქმეზე. ც. ხარი ა.—2 მან.

—

ქ. ასურეთი. თაყაისშვილმა ერაჯ წაგვართო ხარი. ა.

ქ. ამირასლანხანის ფეშქაში. ჩფ.=1 მან. 50 კოპ. ყორღანასშვილს გიორგის მუშრიბს მივაბარეთ.

ქ. ყორღანასშვილმა ფრიდონამ გამოგვართო ჯ.=8 მან.

ქ. მდივანბეგის თავრიზის ხარჯი, ძ.=3 მან.

ქ. იასე სოლოღასშვილმა გამოგვართო ბარათიანთ ხარჯი თავრიზისა. წ.=4 მან.

ქ. იასე სოლაღასშვილმა გამოგვართო. ძ.=3 მან.

ქ. მერაბიბეგის თაბუნმა გამოგვართო. ჩ.=1 მან.

ქ. ქავთარისშვილის სულხანის ბიჭმა გიორგიმ გამოგვართო. ხ.=6 მან.

ქ. საგინაშვილმა ქაქუცამ გამოგვართო, ხ.=5 მან.

ქ. იასე სალაღაშვილმა ნოქრებისათვის წაგვართო ოიოფი, ბ. თავისის იარაღით

ქ. დავით თარხნიშვილმა წაგვართვა ჰ.ტ=5 მან) 50 კოპ.

ქ. იასე კვესიამ (სალოღაშვილი) გამოგვართო ნოქრისთვის ხალდი. ა:=10 მან.

ქ. ჩალიკისათვის მივეცით ამასვე ქერი ლიტრა ლ.—30. ა.—10 მან.

—

ქ. თბილელის ლილო. ფრიდონამ გამოგვართო. წ.=4 მან.

ქ. ჯდერიაშვილმა დათუნამ გამოგვართო. ჯქ. =8 მან. 60 კოპ. თოფ-იარაღით. ა. ხმალი. ა. შალვარი. ა. დართია.

ქ. მდივანბეგის თავრიზის ხარჯი. ხ.=6 მან.

ქ. ბარათიანთ თავრიზის ხარჯი ცყ.=2 მან. 80 კოპ.

—

ქ. ციხია. ყორღანასშვილს ზალიას და ზაზას მივეცით. ჯ.=8 მან.

ქ. ყორღანას შვილს ბეჟანს მივეცით. ძ.=3 მან.

ქ, ბარათიანთ თავრიზის ხარჯი. წფ.=4 მან. 50 კოპ.

ქ. მდივანბეგის თავრიზის ხარჯი. ცს.=2 მ. 20 კოპ.

—

ქ. ცხნარი. ყანდარის ხარჯი ა. წ.=14 მან.

ქ. იარალისშვილმა ზაზამ გამოგვართო. ჩს— 1 მან. 20 კოპ.

ქ. მივეცით ა. წ.—14 მან. იასაული ალიყულა იყო.

ქ. ბარათიანთ თავრიზის ხარჯი. ჰსნ.—5 მან. 25 კოპ.

—

ქ. სამშვილდე-კრწანისი. ქაიხოსრო ბეგ წაგვართვა პური ხარვარი. ივ. —160 კოდი.

—

ქ. რატევანი. ბაგრატიონშვილს ზაალს მივეცით. ცუ.—2 მან. 40 კოპ.

ქ. ყანდარის ხარჯი. ჰს—5 მან. 20 კოპ. იასაული ზაალ ყორღანასშვილი.

ქ. კიდევ ამავ ზაალს გამოურთმევია. ფ.—50 კოპ.

ქ. ბარათიანთ თავრიზის ხარჯი .ცქ.—2 მან. 60 კოპ.

ქ. ყორღანასშვილს ბეჟან ს მივეცით .ჩქ.—1 მან, 60 კოპ.

—

ქ. ანგრევანი. ყორღანაშვილს პატარა ზალს მივეცით .ჩნ.—1 მ. 5 კ.

ქ. ამავ ზალიას მივეცით .ჩ.—1 მ.

ქ. ყორღანასშვილმა ფრიდონამ გამოგვართო .წტ.—4 მ. 30 კ.

ქ. ჩოლახასშვილმა და მუსტაფამ გამოგვართო .წს.—4 მ. 20 კ.

ქ. როსტომ საგინასშვილმა გამოგვართო ხარი .ა.

ქ. ყორღანასშვილმა ბეჟანამ ბზის ფასად .ყ. —80 კ.

ქ. ნახშირის ფასად გამოგვართვეს .ქ.—60 კ.

ქ. ბარათიანთ თავრიზის ხარჯი .ხ.—6 მ.

ქ. ქაიხოსრო ბეგის თავრიზის ხარჯი .ძ.— 3 მან.

—

ქ. ღიღება. მერაბი ბეგ ციციშვილმა გამოგვართო ულაყების ქირა .ცუ,—2 მ. 40 კ.

ქ. ბარათიანთ თავრიზის ხარჯი ძფ.—3 მ. 50 კოპ.

ქ. კახაბერამ წაგვართო ცხვარი .ზ.

ქ. ციცისშვილმა მანუჩარ წაგვართო პური ხარვარი .ბ.—20 კოდი.

ქ ამავ მანუჩარ წაგვართო ძროხა .ა.

ქ. ქაიხოსრობეგის თავრიზის ხარჯი .ც.— 2 მან.

—

ქ. ბოგვი. მდივანბეგის თავრიზის ხარჯი. ვჩქ. —1 მ. 60 კ. საიასაულო რ—10 კ.

ქ. ბარათიანთ თავრიზის ხარჯი. ძრნ. —3 მან. 15 კ.

ქ. ბოშისშვილმა გამოგვართო .უ.—80 კ.

ქ. პატარა გარსევანმ გამოგვართო .ს.—20 კ.

ქ. იასე სოლაღაშვილმა გამოგვართო .ჰჳ ფ,— 7 მ. 50 კ.

ქ. ყორღანასშვილმა პატარა ფარემუზამ გამოგვართო .ჰ —5 მან.

ქ. დურმიშხანიშვილმა გელიამ წაგვართო .ჰ. 5 მან.

ქ. გახისშვილმა ზურაბამ წაგვართო ხარი .ბ.

ქ. მერაბიბეგ გამოგვართო შეშისათვის .ყ.— 80 კ.

ქ. მერაბიბეგის თამუნმა წოინამ გამოგვართო ქრთამი .ჩ.—1 მან.

ქ, ბოგველმა პატარას შვილმა გამოგვართო .ჩს.—1 მ. 20 კ.

ქ. ყორღანასშვიმა დიდმა ფრიდონამ გამოგვართო .ძ.—3 მან.

ქ. საგასასშვილმა გელიამ წაგვართო ჰლ.— 5 მ. 70 კაპ.

ქ. მოქალაქემ თამაზას შვილმა დავითამ წამოიყვანა ქალი .ა.

—

ქ. უკანდაღეთი. ყანდარის ხარჯი, იასე კვესიას მივეცით .ჩს.—1 მ. 20 კ.

ქ, ყორღანასშვილს ფარემუზას მივეცით .ფნ. —55 კ

ქ. მერაბისშვილს შერმაზანს მივეცით .ძ.— 3 მან.

ქ. შოშიასშვილმა გამოგვართო .ტ.—30 კ.

ქ. ქავთარისშვილმა სულხან გამოგვართო .ძ. —3 მან.

—

ქ. კუმისი. ყორღანასშვილმა ბეჟანამ გამოგვართო .გჰ.—35 მან. საესაულო .ჩ.—1 მ

ქ. კიდევ მივეცით ალავერდიბეგის თაბუნს ტიკჭორიდლის ბ.—ფრიდონა თან ახლდა—20 მ. საესაულო .უ.—40 კ.

ქ. ამილახვარ გუგუნამ და სულხან გამოგვართო ი.—100 მან.

ქ ვახუშტი გოსტაშაბისშვილმა გამოგვართო გ. 30 მან.

ქ. იასე სოლაღასშვილმა გამოგვართო ღვინო ლიტრა. .ქ. ცხვარი .ბ.

ქ. მდივანბეგს მავართვით ბატკანი. ბ.

—

ქ. ოგარანი. ჯარჩი გოდერძანს მივეცით .ჩფ. —1 მ. 50 კ. საესაულო .რ.

ქ. ყორღანასშვილმა პატარა ზალიამ გამოგვართო .ცრ.—2 მ. 10 კ.

ქ. ამავ ზალიამ გამოგვართო .ჩნ.—1 მ. 5 კ.

ქ. ჩოლახას შვილმა და მუსტაფამ გამოგვართო ძრნ.=3 მ. 15 კ.

ქ. ყანდარის ხარჯი .ჩ.—1 მ.

ქ. ბარათიანთ თავრიზის ხარჯი .ჩს.—1 მ. 20 კაპ.

—

ქ. ვეძისი. კახაბერმა გამოგვართო—ცხვარი .გ. ნაღდი .ჳ.—7 მან.

ქ. იასე მაღრაძის ხელით გამოგვერთო .გძ. —23 მან.

ქ. ფარსადანაშვილმა დურმიშხანამ წაგვართო ხალიჩა .ა.

ქ. ყორღანასშვილმა ფარემუზამ გამოგვართო. ჰსნ. —5 მ. 25 კ.

ქ. სოლაღასშვილმა იასემ გამოგვართო .ჰ. —5 მან.

ქ. მივეცით .ი. (?) ასული სამშვილდის მამასახლისი ზურაბა

ქ. ყორღანასშვილს ფრიდონას სამებისას მივეცით .ჳ.—7 მან.

ქ. ყორღანასშვილს გიორგის მივეცით .ჩს. —1 მ. 20 კ.

—

ქ. ფარცხისი. ქაიხოსრო ბეგის თავრიზის ხარჯი .ძ.—3 მან.

ქ. ბარათიანთ ქეთხუდების თავრიზის ხარჯი .ძს.—3 მ. 20 კ.

ქ. ყანდარის ხარჯი .ჰ.—5 მან.

—

ქ. კრეფა. ციცისშვილის მეჭრაღიბეგის თაბუნმა გამოგვართო .ცუ. - 2 მ. 40 კ.

ქ. კორღანასშვილმა პატარა ზალიამ გამოგვართო. ცყ.—2 მ. 40 კ.

ქ. კიდევ ამ ზალიამ გამოგვართო .ც.—2 მ.

ქ. ჯდერიასშვილმა ზაზამ გამოგვართო .ჩს. —1 მ. 20 კ.

ქ. ყორღანასშვილმა ფრიდონამ გამოგვართო .ც.—2 მ.

ქ. ქერესშვილმა ბასილამ გამოგვართო .ჩუ. —1 მან. 40 კაპ.

ქ. წრაუთელმა ყანდისშვილმა რამაზამ გამოგვართო .ძს.—3 მ. 20 კ.

ქ. გოლთეთი. ყორღანასშვილმა სამებისამ გამოგვართო .ჩფ.—1 მ. 50 კ.

ქ. ამილახვარ გამოგვართო სალიანის თეთრი .ჳ.—7 მ.

ქ. ბაგრატისშვილმა და მკერვალისშვილმა გამოგვართო .ტ.(?)

ქ. მატია ნოქარმა გამოგვართო სალიანი დარჩაო .ძს.—3 მ. 20 კ.

ქ. თავრეზის ხარჯი ბარათიანთი .ც.—2 მ.

—

ქ. ჯიმშური. ყანდარის სარჯი .წ.—4 მ.

ქ. ზალიას გამოურთმევია ბოლნელს პური ლიტრა .კ.

ქ. ბარათიანთ თავრიზის ხარჯი .ჩს.—1 მან. 20 კ.

ქ. შანშიას შვილს ავთანდილს მივეცით ფეშქაშისა .ა.—10 მ

—

ჭწოდორეთი. კახბერუმ გამოგვართო ცხვარი .გ.

ქ. ყორღანასშვილმა სამებისამ გამოგვართო .ჰ.—5 მან.

ქ. იასე სოლოღასშვილს მივეცით .ჰ.—5 მან.

ქ. ყანდარის ხარჯი .ჳყ.—7 მ. 80 კ.

ქ. სალიანისა მივეცით .წყ. —4 მ. 80 კ. ესაული ეივაზა.

ქ. თავრიზის გზის ხარჯი .ცლნ.—2 მ. 75 კ.

ქ. იასე სოლაღასშვილს გამოურთმევია .აძ.— 13 მ.

ქ. ოთარ ამილახორს . . .

ჩვენებური ამბები

ს. ზემო-მაჩხაანი. (სიღ. მაზრა) წელს მოსავალი კარგი არ არის: ქერები და ყანები დაბალი, ბლომა ბალახ და ნარმორეული, თხელი და მოკლე მშიერ თავთავიანია. შირაქში ახლა თაგვი აფუჭებს ჭირნახულს; როდესაც ჩვენს მინდვრებს ხვდები, გული გიკვდება სიმწუხარით. აქ მშვენიერი, კუპრივით შავი, ნოყიერი მიწაა, მოსავალი კი,

ფელეტონი

...მოვტყუვდი!

II

აკი ვთქვი, ადამიანი გრძნობას არ უნდა ენდოს-მეთქი, თორემ გული გაუტყდება,—იმედის გაცრუებას ვინ ჩივის,—ხშირად ზარალის მეტი ხელთ არა შეჰრჩება-რა და შემდეგში ადვილად სარწმუნოსაც აღარ ირწმუნებს-მეთქი!!..

მაგრამ, დალახვრა ეშმაკი! იმედი დიდი მქონდა!.. გარწმუნებ, პეტრე, როგორც შენ, ისე თვალითა ვხედავდი და გულითა ვგრძნობდი, რომ ქვეყნისათვის სრულიად მოულოდნელად მდიდარი შევიქმნებოდი, ჩემს ტანჯვავებასა და გაჭირვებას ცხოვრებაში სამუდამოდ ბოლო მოეღებოდა, მეც სხვებსავით თავისუფლად ამოვისუნთქავდი, მუდმივი ზრუნვა არსებობისათვის დავიწყებას მიეცემოდა და სამაგიეროდ სანატრელს, ქვეყნისათვის სასარგებლო მუშაობას შევუდგებოდი... ერთი სიტყვით, ბედნიერი ვიქმნებოდი მეც და ჩემთან ერთად ბევრიც სხვა... აი, თუნდა შენ, ჩემო ფილოსოფოსო, ბაიყუშივით რომ მთელს დღეს თავჩაქინდრული დადიხარ გაბერილი, და თუთუნს აბოლებ, კეთებით-კი არას აკეთებ...

— კარგია კიდევ მადლობის გადახდა არ დამჭირდა და მხოლოდ ოცნებით მექმენ აგრეთ კეთილის მყოფელად!.. თორემ, ვინ იცის, იქნება მადლობაც დამეკარგა და კეთილი მეგობარიც?.. არ იწყინო-კი, მაგრამ აგრეა ხოლმე.

— აბა, რას ამბობ ერთი, თუ ღმერთი გწამს? მე და ეგეები? შეუძლებელია! სინიდისს გეფიცები, უკვე განაწილებული მქონდა, მოგებულ ოცი ათასიდან ვისთვის რა უნდა მეწილადებინა, ასე რომ ახალს მთხოვნელებს, სამწუხაროდ, უარსაც-კი ვეუბნებოდი. ბატონო, ხარჯთ-აღრიცხვა ნამდვილს ქონებასა სჭარბობდა! მაგრამ შენ, ჩემო პეტრე, არ დამვიწყებიხარ, ადრევე უზრუნველგყავი.

— გეუბნები, მადლობას ტყუილად ნუ ელი-მეთქი! ხომ იცი, მაგ მხრივ მეტად ხელმოჰქრილი და გაფრთხილებული ვარ. მაგრამ, ეს მითხარ ერთი, შენი წინად გრძნობის საბუთები როგორ-ღა მართლულობენ თავსა, ჰა, ჩემო უნიადაგო ოცნებავ?..

— დამცინე, დამცინე! ღირსი ვარ დაცინვისა... მაგრამ არ დაივიწყო, რომ ჩემს წინად-გრძნობას თან საწინააღმდეგო საბუთებიც საკმაოდ ბლომად ახლდა. აი, თუნდაც იმ დღეს რომ დაგისახელე: არასოდეს ლატარიაში კაპიკის დანაფასევი არა მრგებია-რა და ეგზამენზედაც უკეთ გამეორებული ბილეთი არასოდეს არ შემხვედრია-მეთქი. მაგრამ იმ ჟამად უიმედობას იმედი ერთი-ხუთადა სჭარბობდა და ამიტომ უნუგეშო და უკუღმართი საბუთები, მოგების წინააღმდეგ ამართულნი, როგორღაც უნებურად მავიწყდებოდა.

— იცი, რა არის, ჩემო კარგო? ხომ იცი, მეც ერთგვარი ავადმყოფი ვარ, ერთთავად სულისა და გონების სამთავროში დავწიალებ ფიქრითა, მინდა მათს ნამდვილს ბუნებას დავუახლოვდე როგორმე, შევისწავლო ისრევე, როგორც ბუნების მეტყველი მცენარეთა და ცხოველთა ბუნებას სწავლობს ხოლმე თვალით, ცდით, სარწმუნოდ შეხებით. მაშ, ნუ დამიმალავ ნურასფერსა და დამისახელე, ეგ საწინააღმდეგო საბუთები რომლები-ღა იყო, მაგათ რაღამდენაღ-ღა ჰქონდათ ნიადაგი უეჭველობისა და ნამდვილობისა მოპოვებული? მასთან, ვიცი, დაფარულ ფიქრისა და ნაღვლიანობის სიმძიმე შეგისუბუქდება, გამომჟღავნება ყველაფერს უცბად დაგავიწყებს.

— რომ არ გეთხოვნა, მაინც გეტყოდი, ისე ძლიერადა ვგრძნობ ამ ჟამად მოთხოვნილებას ნაფიქრ-ნაცადის გაზიარებისას, მაგრამ, რაკი მთხოვ, სულ არას დაგიმალავ, როგორც მოძღვარს, ყოველივეს გიამბობ, ჩემს სულსა და გულს სარკესავით დაგანახვებ, იქნება შენ მაინც ისარგებლო იმითი და შემდეგში როგორმე გამოიყენო, რაც მე უქმადა და უსარგებლოდ მთელი ორი-სამი კვირა გულით ვატარე.

და ათრთოლებულის ხმით მძიმედ დაიწყო:

— „როგორც იმ დღესაც გითხარი, ჯერ ბილეთისა ხსენებაც არსად იყო, მაგრამ მუდამ იმედი მქონდა, რომ ფულს მოვიგებდი, მდიდარი შევიქმნებოდი. თან ბედის წერაც გამდიდრებას მიქადდა. ავდექი მეცა და ეშმაკს მივაფურთხე, მოტყუებულთა ფერხულში ჩავერიე, ერთს მშვენიერს დღეს ბილეთი ვიყიდე.

— გაზაფხულის თბილი დღე და კაშკაშა მზე როგორღაც უნებლიედ შინიდგან გარედ მიტყუებდა. პირველი საათი შესრულდა, მეორე დაიწყო. სამუშაოს ის იყო მოვრჩი. ეზოში საამური ჟრიამული ისმოდა ფრინველებისა; ტურფად ამწვანებული ხეები ჩვენის სახლის პაწია ბაღისა და წინა დღით კმაყოფილად გატარებული საღამო, სასიამოვნო დილა და ეს ნეტარი სითბო, ყოველივე თითქოს იმედსა და მხნეობასა მმატებდა, რაღაცა საიშვიათო მოქმედებისათვის მიწვევდა.

კაბინეთში ყოფნა მომწყინდა, აივანზე გაველი. ჩემი მეუღლე თავისს პირმშოს ათამაშებდა. ლეოს სწორე და მაღალმა შუბლმა, ლურჯმა ნათელმა თვალებმა და ჩვეულებრივმა მისმა ტკბილის ხმით ალერსიანად შემოძახილმა: „ტაო!“ სულ გამახალისა, სიხარული და ნეტარება ორივ ერთად მაგრძნობინა, თითქმის ამიტაცა.

მეც ისრევე ალერსიანად გავუღიმე, ჰაერშივე ვაკოცე და გავექანე, რომ ბედნიერების წამი მისს ანგელოსებრივს სახეზე ტკბილად აღმენიშნა. მისვლის უმალვე პატარამ თათები შემომაგება და მანიშნა, ამეყვანა. ცუგრუმელამ დედას და ტა—ს მეტი ჯერ ბევრი არა იცის-რა. მხოლოდ ჩიტებს გამოაჯავრებს ხოლმე: წიუ! წიუს! იძახიანო. ჩემზე ბედნიერი იმ ჟამად თითქმის რომ აღარავინ მეგულებოდა. ავიყვანე და აივნის პირად მდგომ ბროწეულთან მივიყვანე, სადაც ჩიტები შემომსხდარიყვნენ და საამურად ჟივოდნენ. ლეოც ჩემზე ნაკლებს მხიარულებას არ იჩენდა; ჩიტებს შორიდგან ხელებს უწვდიდა და თან თითებს ჰკუმშავდა და ჰშლიდა, ეძახოდა: აქ მოდითო.

— აბა, ჩემო კარგო,—გამომეხმაურა სულზე უტკბილესი მეგობარი ჩემის სიცოცხლისა, —ბილეთს ნუ ვიყიდით? დღე-დღეზე ფასი ემატება! აგერ, დღესაც $302^1/_2$ მანეთამდე აუწევიაბირჟაზე. მაშასადამე, თუ კიდევ დავაგვიანებთ, უფრო აიწევს.

— მართლა-და ბილეთი მთლად დამავიწყდა! რატომაც არ ვიყიდით, როცა ჩვენს გარშემო ყოველიკე იმედითა და სიხარულითა ჰფეთქს; მგონია, ნატვრა ჯერ ჩასახვას ვერ მოასწრებს, რომ იმ წამსვე ამისრულდება. უყურე, აბა, ჩემს ბიჭუკასა, თვით ზეცა, ქვეყნის ბედნიერება თვალებში აქვს ჩასახული; რატომ არ შეიძლება, მაშ, რომ ეს მაინც არის უზრუნველი იყოს და ჩემებრ გაჭირვებასთან ბრძოლამ ახალგაზრდობაშივე არ მოღალოს?..—და აღტაცებულმა თვალები ჩემს ლეოს დავაშტერე, თითქოს პასუხი იქ უნდა ამომეკითხნა

— მეც აგრე ვფიქრობ,—მიპასუხა წყნარის, გაუბედავის ღიმილით სულიკომ და წამოდგა.—მაგრამ იცი, რა არის?

— რაო, ჩემო კარგო,—დავეკითხე და ლეო ახლა დიდედას გადავულოცე, რომელიც ის იყო ოთახიდგან გამოვიდა და შვილი-შვილს მიესაყვარლა.

— რა და, ისა, რომ კენჭი ვყაროთ და ისაც ჩვენ სამში ერგოს,—ახლა ხომ ლეოთი სამნი ვართ,—იმის სახელზე ვიყიდოთ.

— კარგი და პატიოსანი! ახლავე! —მივუგე სიცილითა და თვალის დახამხამებაზე სამი დასორსოლებული ქაღალდი დავამზადე, რომლებზედაც ჩვენი სახელები ეწერა. ამღებიც

—ღმერთმა შეინახოს,— იმის ნახევარიც არ არის, რის მოყვანაც შეიძლებოდა.

გლეხმა მოხნას კი, გადაყაროს თესლი და მეტი არაფერი უნდა. ის არაფერს კითხულობს ყანის შემოსვლამდე. აქ არ იციან მიწის განოყიერება; კარგი თესლის შემოღებას, ან გამოცვლას არა ცდილან; თავის დღეში ყანები არ გამარგლულა. მკის დროს მთელი მინდორი სავსეა ხოლმე ათასი დედაკაცი-გოგო ბიჭით, ძირს დარჩომილ თავთავს ჰკრეფენ. ნუ თუ ამათვე არ შეეძლოთ გაზაფხულზედ ემარგლათ და დაეხსნათ ყანები ამ ბალახ და ნარისაგან, რომლებშიაც შემდეგ აღარც კი ჩანან.

წელს თივაც თითქმის სულ არ არის. ამის გამო ხალხი ძალიან შეწუხებულია. როგორც ჩანს წელს ყველაფერი დაუძვირდება გლეხს.

ზემო-მაჩხაანში ათასამდე კომლი მცხოვრებელია. ხვნა-თესვის გარდა ოთხ-ფეხის გაშენებასაც მისდევენ. არიან მეტად მდიდარი ოჯახები. ზოგიერთს იმდენი შემოსავალი აქვს, რომ სახელმწიფო გადასახადს, ფოშტის ფულს 200—500 მანეთამდინ იხდის წელიწადში.

ამოდენა და ამისთანა სოფელში მხოლოდ ერთი სკოლაა,— ისიც ქალებისა; თუ არ ჩამოვთვლით ს. მირზაანის პირველ დაწყებით სამინისტრო ვაჟების სკოლას, სადაც სამი სოფლიდგან:—ზ. მაჩხაანიდგან, მირზაანიდგან და არბოშიკიდგან,—დადიან ბავშვები სასწავლებლად. საკვირველია, რომ იმ სოფლებს, რომლებთაც გიმნაზიის მენახვა შეეძლოთ, საკუთარი პირველ დაწყებითი სკოლაც კი არა აქვთ. იქნება ვინმემ იფიქროს, რომ აქ არავინ არის „განათლებული“ პირი, რომელსაც ვისიმე ჩაგონება შეეძლოს არა, თუ იტყვით, რომ ხალხის გულის შემატკივარი არავინ არისო, ეს კი დასაჯერებელია, თორემ ზაფხულობით აქ სტატსკი სოვეტნიკებს, მასწავლებლებს, სტუდენტებს და სხვა ინტელიგენტებს გზას ვერ აუქცევ. მღვდლები კიდევ ხომ უთვალავია. კარგად მახსოვს ერთ მდიდარ გლეხ-ოჯახიშვილის სადილზე, როგორ ამკობდნენ ერთმანეთს ჩვენი ინტელიგენტები. ნიშნობლივ ეს ნეტარსახსენებელ ქვემო-მაჩხაანის დეპოს სულის ლევის გამო ქელეხების ე. ი. სადილების მართვის დროს იყო...

— ბატონო, როგორ გაუჭირდება ჩვენ ქვეყანას, როდესაც თქვენისთანა ნატვრისთვალი ჰყავს, თქვენ ჩვენი დიდება, სახელი ხარო!—გაისმოდა განუწყვეტლივ.

სკოლები მეტად სამწუხარო მდგომარეობაშია. არავინაა მზრუნველი, ყურის მგდებელი. სკოლებთან წიგნთ-საცავის გახსნისთვის ჯერ არავის უფიქრია. ვაჟების სკოლის მასწავლებელი სოლომონ უტურაშვილი. აი, ვინ იცის, რამდენი წელიწადია, რაც აქ მასწავლებლობს და ჯერ არავის უკითხავს მისთვის, როგორ არის, რას აკეთებს, ერთხელ გამხნევება, კრიტიკა არ უნახავს. ასე გასინჯეთ გაზეთშიაც-კი არავის გაუკიცხავს, რაც ასეთი ხშირი მოვლენაა სხვა მასწავლებლისთვის ჩვენ კურთხეულ ქვეყანაში. სამწუხაროა ასეთი დავიწყება. მშრომელის, უბრალო და მეტად კეთილ-სინიდისიერის კაცისა. სწავლა ჩინებულად აქვს დაყენებული. მის სკოლაში სწავლა დამთავრებულები იმდენად მომზადებულები არიან, რომ სოფლის მწერლების თანამდებობას ასრულებენ და შემდეგშიაც კითხვის სურვილს არა ჰკარგავენ. ჩემის თვალით მინახავს, რომ მის ნამოწაფრებს მინდორში დედა-ენა და ბუნების კარი უბეში უტარებიათ, თავისუფალ დროს საჯაროდ უკითხნიათ. სამწუხარო არ არის, რომ ამ კითხვის მოყვარულთ არ გაუგიათ ილია ჭავჭავაძის, აკაკის, რ. ერისთავის, ყაზბეგის და ნინოშვილის სახელები?

გარდა ამისა უტურაშვილს თავის სკოლის ეზოში ბაღი აქვს გამართული, სადაც მოწაფეებს ფუტკრის მოშენებას, ხეების რგვა-მყნობას, მწვანილეულობის თესვას და მოვლას ასწავლის მოწაფეებს. მსურველთ ხან კიდეც აბარვინებს. ეს მით უფრო საგულისხმიეროა, რომ სრულიად უანგაროა.

დიახ, ჩვენი სოფელი მოკლებულია ინტელიგენტის, ხალხის გულის შემტკივარის თვალ-ყურს; აქ გაზეთისა არაფერი იციან. ჰგაზეთთან არავისა ჰქონია საქმე, მისი ძალა და გავლენა არავის უნახავს. გაზეთს აქ კეთილი ჯერ არ გაუმხნევებია და ბოროტი არ დაუსჯია. ვისაც როგორც უნდა, ისე იქცევა, იცის, დარწმუნებულია, რომ საქმენი მისნი მისის სოფლის საზღვრებს არ გასცილდებიან. ყველა დადინჯებულია. არაფერი აღელვებს, არაფერი აწუხებს. მაგ. არავის ეჩოთირება, როდესაც მასწავლებელი ქალი სხვის ქათმების მის ეზოში გადასვლის გამო მეზობლებს „ყარამანის“ ხმით ეჩხუბებეომება და უცენზურო სიტყვებით ილანძღება. ესმის ეს მთელს სოფელს, გამვლელ-გამომვლელს და ჯერ წარბი არავის შეუხრია...

ნარი.

კავკასია

აქაური ქართველობა.

ალაგირი. ამას წინად ვწერდით, რომ ჩრდილო-კავკასიაში გადმოსახლებულ ქართველთა მდგომარეობა გადმოსახლებიდგან დღემდის არა სასურველია-მეთქი. ამ ჟამად ალაგირში (თერგის ოლქი) 140 კომლი გადმოსახლებული ქართველი-რაჭველი ირიცხება. ეს 24 წელიწადია რაც სამშობლოს მიაწყვეტილნი არიან, მიწა წყლის სიცოტავის ან სულ უქონლობისა გამო და აქეთ მხარეს გადმოხვეწილან, ვითომ თავიანთ ცხოვრების გასაუმჯობესებლად და ლუკმა პურის მოსაპოვებლად. რამდენად ამნაირი მათი იმედი განხორციელებულა, ამას შემდეგი დაგვანახვებს:

24 წლის განმავლობაში მხოლოდ 16 კომლს მოუხერხებია ვაი-ვაგლახით სახნავ-სათესის მიწის საკუთრებად შეძენა,—თვითეულს არა უმეტეს $4^1/_2$ დესეტინისა; დანარჩენი 124 კომლი დღემდის მოკლებულია, როგორც მიწის საკუთრებას, ისრე სხვა ყოველ საცხოვრებელ წყაროს, თუ არ ვიანგარიშებთ იმ პატარ-პატარა ქოხებს, რომლებიც აგრეთვე დიდის გაჭირვებით თითო მტკაველა ადგილზედ წამოუდგამთ სიცხე-სიცივეში და ავდარში თავის შესაფარებლად.

თუ მაინცა და მაინც, აქ დასახლებული რაჭველობა მიწის მხრით ამ უნუგეშო მდგომარეობაში დღემდის აქ გაჩერებულა და აქედგან სხვა მხრისკენ არ გამგზავრებულა ბედის საძებრად, ამას აუცილებელია, თავისი მიზეზები ექმნება. საქმე ის არის, რომ შეემთხვევა კაცს ხშირად იმისთანა ცხოვრების ვითარება, რომელიც თუმცა მთლად არ აკმაყოფილებს მის არსებითს მოთხოვნილებას და არც რაიმე იმედს აძლევს მომავალში, მაინც დროებით უზრუნველ ჰყოფს და ძალა-უნებურად იძულებულ ჰხდის დასთმოს ყოველივე განსაკუთრებული ფიქრი და მეცადინეობა მომავალში ცხოვრების მკვიდრს ნიადაგზედ დამყარებისათვის. სწორედ ასეთს ყოფაშია აქაური ქართველობა.

თურმე შესაძლებელი ყოფილა აქაურ რუსთა და ოსთა საზოგადოებათაგან *) რამდენისამე დესიატინა სახნავ მიწის იჯარით აღება სულ მცირე ფასად: დესიატინა წელიწადში 1—3 მანეთად, ამით საშუალება ეძლეოდა თვითეულ მიწის დროებით მხმარებელს ყოველ წელს, საშუალო მოსავლითაც, თავისი არსებობაც დაეკმაყოფილებინა და მრავალი სხვა აუცილებელი ხარჯიც გაესტუმრებინა. დღეს ცხოვრების სურათი აქაურ ქართველობისათვის მიწების იჯარით აღების მხრით იმდენად შეცვლილია, რომ მით სარგებლობა, ე. ი. მიწის შემუშავება, არამც თუ სასარგებლო, პირდაპირ მაზარალებელია. სახნავი მიწის იჯარით აღება 12 მან. ნაკლებ შეუძლებელია, ისიც ერთის წლის ვადით; წელს რომ აიღოს მიწა და ერთის წლის გამომავლობაში მოამზადოს მისი ნიადაგი და შემდეგ წლებში გამოელოდეს მისგან წესიერს სარგებლიაბას, მესაკუთრეს სრული უფლება აქვს, მომავალ წელს უარი უთხრას და შემუშავებული—გაუმჯობესებული მიწა თვითონ მოხნას და მოთესოს!..

რადგან აქ ნოტიო ადგილები არის და ზამთარიც ადრე იცის, ამისათვის სიმინდის მოყვანა უფრო გავრცელებულია, ვიდრე პურისა, თუმც ხშირად ორივე მსხვერპლი ხდება ნაადრევის შემოდგომის სიცივეებისა.

სულ კარგი მოსავალიც რომ იყოს, რაც ძლიერ იშვიათია ჰავისა და სხვა მიზეზებისა გამო,—წელიწადში დესეტინა იძლევა 90 მერკა **) სიმინდსა. საუბედუროდ ამ ნაირი მოსავალი ათ წელიწადში ორჯელ ან სამჯერ თუ იქმნება. საშუალო რიცხვით რომ ვიანგარიშოთ, წლიური მოსავალი დესეტინიდგან ათ წლის განმავლობაში იძლევა 45 მერკა სიმინდსა; მერკა ღირს 50 კაპ. მაშასადამე 45 მერკის საფასურს შეადგენს 22 მან. და 50 კაპ. ნუ თუ 10 მან. 50 კაპ. მეტი არ უნდა ღირდეს სათესლე სიმინდი, მოხვნა, გათოხვნა, მოტანა და სხვა მრავალი შრომა, რომელიც აუცილებელია ჭირნახულის მოყვანისათვის, ვიდრე სახლში სახმარებლად მოიტანდეს, ან გასატანად დაამზადებდეს?!.

ვ. კახელი.

(დასასრული იქნება)

---

*) უნდა შევნიშნოთ, რომ ამ 60 წლის წინად ზემოხსენებული რუსებიც, ისრედვე არაფრის მქონენი, როგორც რაჭველები, გადმოსახლებულან, მხოლოდ ხაზინას უხვად დაურიგებია მათთვის მამულები, როგორც კერძო, ისრედ საზოგადო სახმარებლად.

ავტ.

**) მერკა აქაური საწყაო; შეიცავს ფუთ-ნახევარს. ე. ი. 60 გირვანქას.

რუსეთი

დეპეშებიდან უკვე იციან მკითხველებმა, რომ ქ. კიევში პოლიტიკურმა ტუსაღმა ფრუმა ფრუმკინამ, 28 წლის ახალგაზდა ქალმა, ჟანდარმთა გამგეობის უფროსის გენერალ ვ. დ. ნოვიცკის მოკვლა მოიწადინა. ეს შემთხვევა ახლა დაწვრილებით არის მოთხრობილი რუსეთის გაზეთებში. ფრუმკინა ჩვენების ჩამოსართმევად მიეყვანათ გენერალ ნოვიცკის კაბინეთში და მარტო რომ დარჩენილა ამ გენერალთან, უეცრად ამოუღია სახელოდან პატარა გალესილი დანა და დაუკრავს კისერში ნოვიცკისათვის. ჭრილობა მძიმე არ არის. იქვე გვერდის ოთახში ერთი ჟანდარმი ყოფილა მორიგად, შემოვარდნილა ნოვიცკის კაბინეთში და დაუჭერია ფრუმა ფრუმკინა. ეს ამბავი მოულოდნელი იყო, რადგან ფრუმა ფრუმკინას წყნარად, მშვიდობიანად ეჭირა თავი ჩვენების ჩამორთმევის დროს. ჭრილობა ისეთი მსუბუქი გამოდგა, რომ ნოვიცკი საღამოზე სხვების დაუხმარებლად დაბრუნებულა სახლში ჟანდარმთა სამმართველოდან.

— რუსეთის გაზეთებში აწერილია აზოვის ნავთსადგურში მომხდარი უბედურება. გემი „მასკვა“-ს უფროსს უნდოდა ახალ ნავთ-სადგურზე მყოფ გემთან დამდგარიყო, მაგრამ ნება არ მისცეს და ამიტომ ძალა-უნებურად ძველ ნავთ-სადგურს მიადგნენ მგზავრები, რომლებიც ამ გემზე იყვნენ, ხის ბაქანზე გადმოვიდნენ. ბაქანი ჩატყდა და მთელი ეს ხალხი ჩაცვივდა წყალში. გემიდან მათ ბაწრები და პროპკის რგოლები გადაუგდეს. წყალში ჩავარდნილნი ერთმანეთს ებღაუჭებოდნენ და ამიტომ მათი გადარჩენა გაუჭირდა გემზე მოსამსახურეთ. ჯერ-ჯერობით არ არის გამორკვეული, რამდენი კაცი იმსხვერპლა ამ უბედურმა შემთხვევამ. წყლიდან აქამდის გამოიტანეს დამღრჩალთა 6 გვამი 40 ქალის შლიაპა და 17 ქოლგა. ადგილობრივმა მთავრობამ გაშინჯა ბაქანი და ნავთ-საყუდელი და აღმოაჩინა, რომ იგი დაძველებული იყო. ნავთ-სადგური დახურეს.

— გაზ. „ნოვ. ვრ.“-ს აუწყებენ ანდიჟანიდან,—შენობების საქმე ძალიან ცუდათ არისო; იმ 9,526 სახლიდან, რომლებიც მიწის ძვრამ დააქცია, მხოლოდ 737 გამოაკეთეს და ისიც ადგილობრივი უბრალო შენობები. შეწირულებანი, რომელნიც დაზარალებულთ მიიღეს, ძალიან ცოტა გამოდგა; მათის სახლების ასაშენებლად არ იკმარა, ბამბის ნათესობა განახევრებულია; 1,300 დესიატინა დაპურებული ყანები კალიამ გაათხრა. მკაცრმა საქონლის ჭირმა ხომ პირუტყვი გასწყვიტა: დაიღუპა 43,653 სული საქონელი 751,142 მანეთად ღირებული.

— ამავე გაზეთს ბერლინიდან ატყობინებენ,—ერთი ხელამხედველი რომელსაც დავალებული ჰქონდა ცალკე საავადმყოფოში ექიმ ზავსის გვამის ყურის გდება, ამ კვირის დასაწყისს მძიმედ გახდა ავად. ექიმის აზრით შავი ჭირი უნდა შეჰყროდეს. მოახდინეს ბაქტერიოლოგიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევა, რომელმაც მათი ეჭვი დაამტკიცა. აცრის შემდეგ ავადმყოფი უკეთ შეიქნა. რადგან ავადმყოფი სულ 22 წლისაა და მასთან მაგარის აგებულებისა, იმედი აქვთ, რომ სენსა დასძლევსო.

უცხოეთი

სერბია. ახალი მეფე სერბიისა პეტრე ყარაგეორგიევიჩი შთამომავალთა სახელოვანის შავ გიორგისა (ყარა-გიორგისა), რომელმაც დაარსა დინასტია ყარაგეორგიევიჩებისა. ყარა-გიორგის დიდი ღვაწლი მიუძღვის სერბიის წინაშე. ყარა-გიორგიმ პირველმა ააფრიალა დროშა აჯანყებისა ოსმალთა წინააღმდეგ სერბიაში. პირველი მთავარი სერბიისა ის იყო. 1817 წელს ღალატით იქმნა მოკლული მილოშ ობრენოვიჩის ბრძანებით. სერბიის სამთავრო ტახტზე მას უკან გამეფდა დინასტია ობრენოვიჩებისა. მილოშმა, რა-კი მოიშორა თავიდგან თავისი მოქიშპე, თვით ითავა აჯანყების წინამძღოლობა ოსმალეთის მონობისაგან სერბიის განთავისუფლებისათვის. 1820 წელს სერბიამ მოიხვეჭა დამოუკიდებლობა. ობრენოვიჩებმა იმეფეს 1842 წლამდე. ამ დროს მოჰხდა აჯანყება ხალხისა და სერბიაში გამეფდა მთავარი ალექსანდრე ყარაგეორგიევიჩი, შვილი ყარა-გიორგისა. ალექსანდრე მთავრობდა 1858 წლამდე და უფრო ავსტრიის მომხრეობის პოლიტიკას ადგა. სკუპშჩინამ კვლავ მოხუცი მილოშ ობრენოვიჩი მოითხოვა მეფედ. მას უკან ყარა-გეორგიევიჩები ექსორიობაში ატარებდნენ სიცოცხლეს და, როცა კი მარჯვე დროს ჰპოვებდნენ, თავიანთ ისტორიულს უფლებას გაახსენებდნენ ხოლმე სერბიას. ახლა, რაკი სრულიად მოისპო გვარი ობრენოვიჩებისა, კვლავ მოუწოდეს მეფედ ყარა-გეორგიევიჩების გვარის წარმომადგენელს.

— ყმაწვილობიდანვე დიდს გაჭირვებაში იყო ალექსანდრე, მეფე სერბიისა. ამ გაჭირვების უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ მას მშობელთ დიდი შუღლი და იძულება ჰქონდათ ერთმანერთში. როცა მილანმა უარ-ჰყო სამეფო ტახტი (1889 წ.), მაშინ ალექსანდრე 12 წლისა იყო. მის მცირე წლოვანობის გამო, დაინიშნენ რეგენტები. პირველში რადიკალების ხელში იყო საქმეთა წარმოება. ახლა ატყდა მილანსა და ნატალის შორის ბრძოლა, ვის უფრო მეტი გავლენა უნდა ჰქონდეს შვილზედაო. 1891 წელს მილანი და ნატალია იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ სერბია და პირობა დაედოთ, რომ აღარას დროს აღარ დავბრუნდებითო. დედოფალი ნატალია ძალ-მომრეობით იქმნა განდევნილი, რადგან ნებით არ ინდომა სერბიიდან წასვლა. 1893 წელს მილანმა იმდენი იმოქმედა შვილზედ, რომ დიდი სახელმწიფო ცვლილება მოახდინა. სადღესასწაულო სადილს შემდეგ მეფემ ბრძანა შეეპყრათ რეგენტები და თავისი თავი სრულ წლოვანად გამოაცხადა. 1894 წელს კვლავ გაჩნდა სერბიაში მილანი. მაშინდელმა გრუიჩის რადიკალმა სამინისტრომ, იმის მაგიერ, რომ შეეპყრო მილანი, სამსახურიდან გადადგომა ითხოვა. იმავე წელს მეფემ გააუქმა რადიკალური კონსტიტუცია და აღადგინა ლიბერალური. გაჩნდა უკმაყოფილება და დრტვინვა. ყოველ ამის მოსასპობად და მშვიდობიანობის ჩამოსაგდებლად დიდი უფლებანი მიენიჭა ხრისტიჩს, რომელიც დიქტატორის წესზედ განაგებდა სერბიას 1894—1895 წწ. 1898 წ. მეფე ალექსანდრემ თავისი ძმა მილანი დანიშნა მთავარ-სარდლად. 1899 წელს კნიაჟევიჩ-

---

ლეოზე უკეთესი არავინ იქნებოდა და ვთხოვე პაწიას, აელო. ლეომ დედის მხარე დაიჭირა და ბილეთი იმას არგუნა. რაღა გვეთქმოდა, ავდექით და საყიდლად გავემართენით, მხიარულნი და კმაყოფილნი, თითქოს ამ პროცესით თვითონ მოგებაც უზრუნველგვეყო.

ხუთის წამის შემდეგ უკვე ტრამვაის ვაგონში ვისხედით და ფ—ის ბანკისაკენ მივსრიალებდით.

— მერე, იცი, როგორ გამოვიჭიმები, საკუთარს ეტლს რომ გავიჩენ,—ვეუბნებოდი ჩემს მაიკოს? ყველა ნაცნობებს, დღეს რომ ცხვირს მაღლა იწევენ და რაღასაც იბერებიან, თვალებს დავუყენებ; სალამს რიგიანად აღარც-კი ვაღირსებ; ისე, სხვათა შორის, ავწევ ხოლმე ხელს მაღლა, ვითომ ბუზი ავიფრინე-მეთქი; ვაგრძნობინებ, რომ ამისაც ღირსნი არ არიან! ერთი სიტყვით, მთლად დიდი კაცი შევიქნები! შენ კიდევ, ჩემო კარგო, გიყიდი მშვენიერს საგარაკო ადგილს სოფლად, გაგიჩენ მეურნეობას, რომელიც ისე გულით გიყვარს და მთელს ზაფხულს სუფთა სოფლის ჰაერზე ვიქნებით ხოლმე, უზრუნველად, უდარდელად...

ვინ იცის, კიდევ რაები არ ჩამოვუთვალე, სულ სიცილით, თითქმის ვხარხარებდი.

მაიკოც მიგდებდა ყურსა და ჩემს ხუმრობაზე გულიანად ყიჟყიჟებდა.

მაგრამ რის ხუმრობა?! გარწმუნებ, პეტრე, როგორც დღეს ჩემი უფულობა არ არის შენთვის საეჭვო, ისე მაშინ ოცი ათასი თუმნის მოგება იყო ჩვენთვის ყოველს ეჭვს გარეშე; მზად ვიყავი, განკარგულებაც-კი მომეხდინა, რომ ოცნებით გასაჭვრეტი უკვე აესრულებინათ.

მივედით კიდეც. ბანკის კარებს რომ შევხედე, გუნება როგორღაც თითქოს გადამიტრიალდა, მაგრამ... თქმით, აბა, რას ვიტყოდი? ბილეთის სყიდვა გადაწყვეტილი იყო. შევხედე, მაიკოც როგორღაც გაცრეცილიყო, მაგრამ არა ვუთხარი-რა; ეს უთუოდ ჩვეულებრივი ღელვაა დიდი საქმის წინაშე-მეთქი,— ვიფიქრე.

სამის წამის შემდეგ, ვიდრე საჭირო ცნობებს მოვკითხავდი მოხელეთ, თუ რამდენი უნდა შემეტანა ფული, უკვე კასსასთან ვიდექით და ბილეთს ვირჩევდით. კასსის გამგემ სულ ხუთიოდე ბილეთი გადმოიღო. დავხედეთ ერთს, მეორეს, მესამეს, არ მოგვეწონა, რაღაც წყვილი ციფირები იყო და მოგების საქმეში, არ ვიცი, რად? სახეიროდ არ მივიჩნიეთ. ისევ ცალი, კენტი რიცხვები ვარჩიეთ. მომაგონდა მასთან, რომ ძველად რიცხვი 7 სიუხვისა და მრავლობის ნიშანი იყო და გავიფიქრე; უთუოდ ჩვენს ბილეთსაც უნდა ჰქონდეს ეს რიცხვი-მეთქი. გამახსენდა აგრეთვე, რომ იანვარში 200,000 მან. ისეთს ბილეთს ერგო, რომლის სერიის ორი წინა რიცხვი და ბილეთის №-იც ერთი და იგივე იყო და ვთქვი: ჩვენიც უთუოდ ასეთი უნდა იყოს-მეთქი. მართლაც, მეხუთე ბილეთი, ჩვენს იღბალზე, ასეთი გამოდგა: ორი წინა რიცხვი სერიისა და ბილეთის №-ისა კენტები და ერთნაირები იყო, შუაში სერიას 7-იც უჯდა, 5-იც.

— აი, სწორედ ეს არის, ჩვენ რომ გვინდამეთქი,—მივუბრუნდი მაიკოს და იმანაც სიტყვა დამიდასტურა.

გვერდის ოთახში მოხელემ მალე რამდენიმე ქაღალდი დაამზადა, ბილეთი და სერია იკითხა და, რომ ვუთხარ, როგორღაც ეჭვით ჩაიცინა.

ეს კითხვა და მოულოდნელი, ეჭვით გაცინება საკმარისი იყო, რომ მეც და ჩემს კეთილს მაიკოსაც, ორივეს გულში ჩრჩილი ჩაგვძრომოდა. საპნის ბუშტივით იმედი უცბად სადღაც გაჰქრა, ოცნება ჩანელდა, ორივენი გავიცრიცენით.

— რა, საეჭვო ბილეთია, განა? ხეირი არ იქნება?—ჩავეკითხე ძალდატანებულის ღიმილით მოხელესა და თან იმის ჩასუქებულს სახესა და ყარამანივით დაგრეხილს ულვაშებს თვალს არ ვაშორებდი, რომ სულის მოძრაობა და კუნთებისა არ გამომპარვოდა, თუ დამალვას დააპირებდა, ნამდვილი სახეზე მაინც ამომეკითხა.

— არა, აბა, რა ვიცი!.. ბილეთი თქვენ ამოარჩიეთ?—ჩამეკითხა კვალად მნიშვნელოვანად.

— დიახ!—ვუპასუხე მოჭრით,—თუმცა იღბლიან ბილეთებისა ცნობა სრულიადაც არა მაქვს!—არა, მაინც, რად გაიცინევით? უთუოდ ბევრჯელ იქმნება ეგ ბილეთი იმედიანად აღებული და ბოლოს უიმედოთ უკანვე დაბრუნებული, ეს გეხსომებათ და იმიტომ გაიცინევით, თორემ, სხვა, აბა, საიმისო ან-კი რა გეცოდინებათ? — ვეკითხებოდი —ჩასუქებულს მოხელესა.. მაგრამ შენც არ მომიკვდე, სანუგეშო ველარა მითხრა-რა.

კასსას რომ დავუბრუნდი და ფულები გადავუთვალე, მაშინ ხომ ნამდვილად და გადაჭრით ვიგრძენ, რომ სრულიად უსარგებლოდ გადავყარე ფული... მაგრამ მაიკოს როგორ რასმე ვეტყოდი? პირდაპირ შეხედვასაც-კი ვეღარ ვუბედავდი. მხოლოდ გვერდგვერდზე-ღა გავყურებდი და ვატყობდი, რომ მთლად სინანულად გადაქცეულიყო, დანაკარგს ადრევე ჰგლოვობდა.

ბილეთი, მერე? რო გენახა, მთლად გაჭუჭყიანებული, გვერდებ დაბღაჯნილი იყო, გეგონებოდა, სანაგვეზე ვისმე უპოვნიაო. ესეც კიდევ ერთი საბუთი იყო, რომ ბევრი გაეცრუებინა და მეც იმათსავით მოტყუებული დავრჩებოდი...

მაგრამ გეუბნები, პეტრე, როგორღა რასმე გავამხელდი! პირ-იქით, არ ვიცი, როგორ მოხდა, ბუნებრივად, თუ ჩემისავ მიზეზით, რომ მაიკოსათვის გული გამეკეთებინა,—მაგრამ უცბად გული ისევ გამიხალისდა, ისევ დავიმედიანდი.

გამოვცილდით თუ არა ბანკის კარებსა და ცოტა წავიარეთ, ოცნებამ მაშინვე ისევ ფრთები გაშალა და უფრო იმედიანად დამიწყო მომავალის შესახებ გულმა ღიტინი. რაც მოგების უფლების შეძენამ ნეტარება მაგრძნობინა, ეს, ძმაო, კიდევაც გიამბე. დამრჩა ახლა მხოლოდ-ღა დასასრული ამ ერთსა და იმავე დროს სასაცილო და სამწუხარო ამბისა. არც ამას დაგიმალავ, ჩემო კარგო, რადგან საძნელო უკვე გაგიმჟღავნევი.

იმ დღიდგან,—ხომ გახსოვს, როგორ აღტაცებული ვიყავი,—თითქოს სულ სხვა ქვეყნად გადავსახლდი, ის აღარ ვიყავ, რაც ვიყავ, ბილეთი აღარ მომგონებია. მთლად ჩვეულებრივმა ცხოვრების პროზამ შთამნთქა: ისევ შრომა და შრომა.

მოგების გამოცხადების დრო წამითი-წამად ახლოვდებოდა, მაგრამ მე აღარასა ვგრძნობდი. სახლში თითქმის ვეღარა მცნობდნენ. თუ როგორმე უნებლიედ მომაგონდებოდა, რომ ბილეთის ბედი აი, საცაა გადაწყდება-მეთქი, ვცდილობდი, იმავ წამს დამევიწყებინა, რადგან უტყუარივე საწინააღმდეგო საბუთები, როგორც, მაგალითად: უბედობა ჩემი ლატარიაში, ეგზამენებზე, ურწმუნოება ბედ-იღბლისა, მოხელის ეჭვიანი სიცილი და მოძველებული, დაჯღაბნილი ბილეთი, ყოველივე ეს, ვგრძნობდი, მოგებას წინ გადაეღობებოდა და არამც თუ 200,000-სა, 500 მანეთიანს მოგებასაც-კი ახლოს არ მომაკარებდა. ერთი სიტყვით, მოგება და სიმდიდრე გულიდგან ამოვირეცხე.

რამდენად საფუძვლიანი იყო ეს ჩემი გრძნობა, შედეგმა კარგად დაამტკიცა, მაგრამ აღტაცებამა და ოცნებამ რა შემძინა, ეს-კი?.. ცოტა ძნელი სათქმელია.

მოვტყუვდი, მოვტყუვდი! მაგრამ იმედი მაინცა მაქვს, რომ ჩემი ბილეთი მერმის უთუოდ მოიგებს...

I?.

ინ-ანი.

ა მოუნდომა მოკვლა მილანს. ამის გამო დაუწყეს დევნა რადიკალებს და თითქმის სულ გაანადგურეს ეს დასი. მაგრამ რადიკალმა დასმა კვლავ მოიცა ძალა და 1901 წელს რამდენიმე წარმომადგენილი გაიჩინეს სამინისტროში. ამავე წელს ალექსანდრემ გააუქმა კონსტიტუცია 1896 წლისა და ახალი დააწესა. ახლა პირველ გაჩნდა სისტემა ორის პალატისა. ახალმა კონსტიტუციამ არ დააკმაყოფილა მეფე, რამდენისამე საათით გააუქმა და მერე ისევ აღადგინა მხოლოდ იმ ძირითადის კანონების გამოკლებით, რომელიც რაიმე აზრს აძლევდა ამ კონსტიტუციას. ორის წლის წინად შეირთო ცოლად დრაგა-მაშინის ქვრივი. ამ გარემოებამ მეტად გააძლიერა უკმაყოფილება ერისა და მოჰხდა ის, რაც უკვე უწყის მკითხველმა უკანასკნელ დეპეშებიდან.

ოსმალეთი. ოსმალეთის მთავრობა დიდს შიშსა და შფოთვაშია. ერთს გარკვეულს გზას ვერ დასდგომია. გუნება ხშირ-ხშირად ეცვლება. ხან ჯარებს ამზადებს, სურსათს იკრებს და ავრცელებს ხმას, რომ ომი მოსალოდნელიაო. ხან კიდევ არწმუნებს ყველას, რომ ბულგარიას მოვურიგდი და ომი შეუძლებელიაო. ხონთქარს ალბანელებიც ძრიელ აწუხებენ; მაგრამ ყველაზედ მეტად აშინებს ის, რომ ავსტრია არ ჩამოერიოს ჩემს საქმეებშიო.

გერმანია საზღვაო სამინისტრო ცდილობს ფეხი მოიკიდოს ბალტიის ზღვაზე და ეძებს აქ ნავთსაყუდლებს, რომ თავის სამხედრო ხომალდებს საოპერაციო ბაზისი მისცეს. გერმანიის სამხედრო ფლოტი ისე გამრავლდა, რომ კილის ნავთ-საყუდებელში აღარ ეტევა, ამიტომაც საზღვაო სამინისტროს განუზრახავს მიურვიცის ნავთსაყუდებელი, ფლენსბურგის ახლო, გააფართოვოს; ზონდებურგის პორტიც გადაკეთდება დიდ სამხედრო ნავთსაყუდებლად, სადაც ააგებენ ნავთხანას, ხომალდების ასაშენებლადა და შესაკეთესლად.

ყურადღების ღირსია დობრიცაში გამართული მანევრები, რომელსაც თვით იმპერატორი ვილჰელმი ადევნებდა თვალ-ყურს. ამ ადგილიდან, იმპერატორის ბრძანებით, მცხოვრებნი დიდს მანძილზე მოაშორეს. ეს სიფთხილე იმასა ნიშნავს, რომ ამ მავნერების დროს ხმარობდნენ ახალ სისტემის თოფებსა და ზარბაზნებს, რომელთა მოხმარება საომრად იმპერატორს ჰსურს სრულიად საიდუმლოდ იყოს. მანევრი ორ დღეს გაგრძელდა და 50,000 ჯარის-კაცი, ყოველგვარ იარაღით, იღებდა მონაწილეობას. მანევრი იმ ადგილას იყო გამართული, სადაც ამ 150 წლის წინ ვარჯიშობდნენ ფრიდრიხ დიდის ჯარები, რომელნიც შვიდი წლის ომიდან გამარჯვებულნი გამოვიდნენ.

ნარკვევი

სატახტო ქალაქის გაზეთებმა გამოსთქვეს თავისი აზრი სერბიაში მომხდარ ამბების შესახებ. „Нов. Время“ ამბობს:

ცინცარ მარკოვიჩის სამინისტროს თუმც განზრახვა ჰქონდა სერბიის პოლიტიკაში წინანდელ გზაზედ მდგარიყო, ე. ი. მტკიცე თანხმობა ჰქონდოდა რუსეთთან, თუმც სცდილობდა მშვიდობიანობა ჩამოეგდო სერბიაში და პარტიობა მოესპო, სერბიის ხალხი მაინც მღელვარებდა, რადგან იცოდა, რომ რუსეთის მომხრე რადიკალური პარტია სრულიად მოაშორეს სახელმწიფოს მართვა-გამგეობას. გავრცელდა ხმები, რომ მეფეს სურს, თავისი ცოლის ძმა ნიკოდიმი ლუნევიცი ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადოს.

ამ ნიადაგზედ აღძრულმა ხალხის უკმაყოფილებამ გამოიწვია უკიდურეს ელემენტთა შორის სერბიის დინასტიის მოსპობის განზრახვა.

ჩვენ არ გვსურს ვიფიქროთ, რომ ამ საშინელ მკვლელობაში რადიკალურს პარტიას მიეღოს მონაწილეობა. დროებით მმართველობის მეთაურობა იმიტომ ერგო რადიკალს, რომ რადიკალები—ერთად-ერთი ნაციონალური პარტიაა და საქმე რომ გამწვავდება, სცენაზედ პირველად იგი გამოდის ხოლმე. ცხადია, რომ რადიკალური პარტიის მეთაურთ არ მიუღიათ მონაწილეობა მკვლელობაში, რადგან ისინი დღეს სერბიაში არ იმყოფებიან, რომ სცოდნოდათ, რა ამბები მოხდებოდა სერბიაში, უეჭველად, საჩქაროდ დაბრუნდებოდნენ სამშობლოში, რომ ეს საჭირო მომენტი ხელიდგან არ გაეშვათ.

გაზ. „Свѣтъ“-ი ამბობს:

რა უნდა ვსთქვათ მკვლელთა შესახებ? რაც უნდა განზრახვა ჰქონოდათ,—ოფიცრებს თავისი მეფის მკვლელნი—ქრისტეანეთს (?) ჯარის ოფიცრების სახელი-კი არ დაერქმით, არამედ იანიჩართა და მოღალატეთ.

დიდი ძილაშის შთამომავლობა, ობრენოვიჩთა დინასტია ეხლა ახლა საკმევლს აკმევენ მკვლელობის საგანში, რათა სისხლის სუნი, მკვლელობის მერადი ოხშივარი განაქარვონ, სერბიის ტახტის საფეხურთ-კი ვერ წარხოცენ სისხლს.

გაფრთხილდით, ახლად მოვლენილნო ქვეყნის მმართველნო, რომ სისხლში ფეხი არ წაგიცდეთ!

„Бирж. Вѣдом.-ი“ ამბობს:

სერბიის ხალხის ისტორიაში დასრულდა სისხლით მორწყული ეპოქა, რომელიც ობრენოვიჩებმა თავისი სახელით მონათლეს. წარსულისა და მერმისის საზღვარზე საშინელი მკვლელობის დამე გადაგვეშალა თვალ-წინ.

ეს ამბავი თუმცა ცხადი, იმდენად ზარ-დამცემია, რომ მისი მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ შეგვიძლია დაახლოვებით გამოვარკვიოთ, როცა შევიტყობთ, რა ამბები მოხდა ბელგრადში, ავაკუმოვიჩის სამინისტროს პროკლამაციის შემდეგ.

„Русск. Лист.“-ში ვკითხულობთ:

ამ საშინელ ამბებით თავზარდაცემულთ, გვეძნელება მათი მიზეზისა და მნიშვნელობის გამორკვევა. ერთი-კი რამ არის უეჭველი: თვით ეს ფაქტი—საზარელი, გულის აღმრევი, საშინელი ბოროტმოქმედობაა.

ბევრი ცოდვის ჩადენა შეუძლია გონიერსა და თავისუფალ სულდგმულს, რომელსაც ადამიანის სახელი ჰქვია, მაგრამ თავისის მოყვასის მკვლელობაზე უფრო საშინელი და საზიზღარი ცოდვა არ არის რა ქვეყანაზე. როცა ადამიანს სიცოცხლეს უსპობთ, განგებისაგან მინიჭებულ უძვირფასეს განძსართმევთ.

„Нов. Вр.“-ში მოთავსებულია იაპონიიდან წერილი, რომელშიაც სხვათა შორის ვკითხულობთ:

არსად მთელ ქვეყნიერებაზე არ არის ისე გავრცელებული ბეჭდვით სიტყვა, როგორც იაპონიაში. იაპონიის ყველა სოფლებში, ყველა მივარდნილ კუთხეებში თქვენ უეჭველად ნახავთ ჟურნალ-გაზეთებს. ამის მიზეზი სხვათა შორის ის არის, რომ გაზეთის ფასი იაპონიაში ერთობ მცირეა, გაზეთი იქ ღარიბებისათვისაც ხელმისაწვდენია. ვრცელი პროგრამის მქონე გაზეთი ერთ კაპეიკად ღირს. მაგალითად სატახტო ქალაქის დიდი გაზეთი „ნორაკუ“ აქნამდის თვეში 24 ცენტი (48 კაპ.) ღირდა, ახლა-კი 15 ცენტამდის (30 კაპ.) დასწიეს გაზეთის ფასი. ყველა გაზეთები იაფ-ფასიანია იაპონიაში. ეს იაფი გაზეთები შინაარსიანა და სერიოზული მიმართულებისანი არიან, არც ერთი საყურადღებო საკითხი არ დარჩება ხოლმე მათგან შეუმჩნეველი, სიტყვა-კაზმულ მწერლობასაც აქვს დათმობილი ამ გაზეთებში საკმაო ადგილი იაპონიის გაზეთებს ძლიერი გავლენა აქვთ ხალხზედ, რადგან ძლიერ გავრცელებულნი არიან ამ ქვეყანაში.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

4 ივნისს.

პეტერბურგი. ნევის პროსპექტზე გაზეთის „ზნამია“-ს რედაქტორი კრუშევანი დასჭრეს. დამნაშავეა კიევის პოლიტეხნიკუმის ებრაელი სტუდენტი დაშევსკი, რომელიც უკანიდგან მიჰპარვია რედაქტორს და ფინური დანა კისერში დაუცია. დამნაშავე საზოგადოების დახმარებით შეიპყრეს. ჭრილობა არ არის საშიშიო.

ჰელსინგფორსი. ალექსანდრეს გიმნაზიაში არქიეპისკოპოსის ნიკოლოოზის მიერ გარდახდილ იქმნა პარაკლისი რუსეთის სახალხო სკოლების მასწავლებელთა კრების დროს. გენერალ-გუბერნატორმა გამოაცხადა, კრება დაწყებულიაო.

რომი. გაზეთების სიტყვით, ცანარდელმა იკისრა ახალ კაბანეტის შედგენა.

ბელგრადი. ხმა, ვითომც დედოფალს ნატალიას ეთხოვოს ავსტრია-უნგრეთის ელჩისათვის იშუამდგომლოს სერბიის მთავრობის წინაშე მეფის ალექსანდრეს გვამი წასვენებულ იქმნას ბელგრადიდგან, მართალი არ არის.

სტამბოლი. პორტამ აცნობა ორსავე სახელმწიფოს, რომლებიც რეფორმას თხოულობენ, რომ კრატავის ოლქში იპოვნეს საბუთები, რითაც მტკიცდება ის, რომ დინამიტი ბულგარიაშია დამზადებულიაო.

სოფია. ბულგარიის დიპლომატის აგენტმა სტამბოლში მოხსენება წარუდგინა პორტას, რომ ადრიანოპოლის ვილაიეტში ბულგარიელთ სასტიკად სდევნიანო. ბულგარელებს შეჯახება მოსვლიათ მოლეშოვში. ორივე მხრით ას კაცამდეა მოკლული. აჯანყებულებს პოუკლეს წინამძღოლი მაქსიმე.

ჟენევა. მოსალოდნელია, რომ სერბიის პარლამენტი აპატიებს ამბოხების მეთაურთ. მეფე პეტრეს არა სურს არჩევნის საქმეში ჩაერიოს.

პეტერბურგი. 4 ივნისს ალექსანდრე ნეველის ლავრაში მიწას მიაბარეს სტატს-სეკრეტარის დურნოვოს გვამი. დასაფლავებას დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე და დიდი მთავრები.—„კანონთა კრებულში“ დაბეჭდილია შესწორებული და დამატებული კანონები შაქრის მრეწველობის შესახებ, რომ საფაბრიკო ინსპექციის მოხელენი გუბერნიის უფროსებს ემორჩილებოდნენო და ზოგიერთი ცვლილება მრეწველობის საშინაო ორგანიზაციის შესახებ.

5 ივნისი

პეტერბურგი. მთავრობის უწყება: „განვლო ერთმა კვირამ, მას აქეთ რაც ბელგრადში მოხდა სისხლით შესვრილი სახელმწიფო ცვლილება, რომლის შესახებ, რადგანაც სერბიაში კანონიერი მთავრობა არ იყო,—საიმპერატორო მთავრობას ვერ ეუწყა ჩვეულებრივის ოფიციალურის წესით, რადგანაც რუსეთი მტკიცედ ადგია იმ წესს რომ არ ჩაერიოს ბალკანეთის სახელმწიფოთა შინაგან საქმეებში, და რადგანაც შეუძლებლად რაცხდა რაიმე ურთიერთობა იქონიოს იმ მმართველებთან, რომელთაც თვითნებობით ხელთ იგდეს უფლება,—ამიტომ ელოდა არეულობის დასრულებას, რათა ნათლად გამოერკვია თავისი აზრი სერბიაში მომხდარ ამბების შესახებ. 2 ივნისს სენატმა და სკუპჩინამ მოახდინეს საგანგებო კრება, აღადგინეს კანონიერი წესიერება სამეფოში და ერთხმად აირჩიეს მეფედ მთავარი პეტრე ყარაგიორგიევიჩი, რომელმაც რა შეიწყნარა მისდამი მიმართული ხალხის წარმომადგენელთა შუამდგომლობა, დასთანხმდა ასულიყო სერბიის ტახტზედ პეტრე პირველის სახელით. არჩევისათანავე მთავარმა მიჰმართა დეპეშით ხელმწიფე იმპერატორს თხოვნით, რათა ცნოს იგი სერბიის მეფედ, რომლის თხოვნას მოჰყვა უმაღლესი დამტკიცებითი პასუხი დეპეშით. საიმპერატორო მთავრობა სიამოვნებით ეგებება ახალ მონარქიას, სახელოვან სამეფო გვარეულობის ჩამომავლობას არჩევას და უცხადებს რუსეთის თანამორწმუნე სერბიის ერის თავს მის კეთილ განზრახვათა წარმართებას, და საჭიროდ რაცხს გამოაცხადოს იმედი, რომ პეტრე მეფე გამოიჩენს სამართლიანობასა და მტკიცე ხასიათს, რათა უპირველეს ყოვლისა მიიღოს ღონისძიება საზიზღარ ბოროტ-მოქმედების გამოსაძიებლად და სასტიკად დასაჯოს ფიცის გამტეხნი, რომელნიც განწბილდნენ მეფის მკვლელობით, დიადმაც, მთელს სერბიის ერსა და მთელს სერბიას მხედრობას ვერ დაედება ბრალი ქვეყნის შემაძრწუნებელის ბოროტ-მოქმედებისათვის, ხოლო თვით სერბიის შინაგან მშვიდობიანობისათვის საშიში იქნება, რომ სახელმწიფო ცვლილების ძალადობით მომხდენელ სამხედრო მოხელეთ ჯეროვანი სასჯელი არ მიეგოს. ასეთი დათმობა აუცილებლად ცუდს გავლენას იქონიებდა ყველა სახელმწიფოთა და სერბიის ურთიერთობაზე და მით შეჰქმნიდა მისთვის სამძიმო მდგომარეობას პეტრე პირველის მეფობის დასაწყისშივე. სერბიის თანამორწმუნე რუსეთი ავედრებს ღმერთსა უდროოდ განწირულის ალექსანდრე მეფისა და მის მეუღლის სულის განსვენებას და სთხოვს ზენაარსს აკურთხოს სამეფო ღვაწლი პეტრე მეფისა სერბიის ერის საკეთილოდ და საწარმართოდ“.

პარიჟი. მთავარ ყარაგეორგიჩის სერბიის მეფედ არჩევას თანაგრძნობით მიეგებნენ აქაური პოლიტიკური წრეები და საფრანგეთის პრესსა.

ბელგრადი. სკუპშჩინის დეპუტაცია გაემგზავრა ჟენევას ოქმის მისართმევად. დეპუტატთა შორის არიან სკუპშჩინის და სენატის პრეზიდენტები, ერთი ვიცე-პრეზიდენტი სამი სენატორი და 18 დეპუტატი.—სერბიის მთელმა მხედრობამ მისცა ფიცი მეფე მთავარ სარდალს პეტრეს. სკუპშჩინამ აირჩია ცხრა დეპუტატი კონსტიტუციის გადასასინჯავად.—სერბიის ყველა მხრიდგან მოდის მოლოცვის დეპეშები მეფის არჩევის გამო.

ბერლინი. გამოირკვა არჩევნების შედეგი. 374 ოლქში 172 ხელახალი არჩევანი უნდა მოხდეს. არჩეულია: 24 კონსერვატორი, 82 ცენტრის დასისა, 14 პოლონელი, 5 მთავრობის დასისა, 53 სოციალ-დემოკრატი, 5 ყოველ დასთა გარეშენი, 6 ელზასელი, 5 ნაციონალ-ლიბერალი, 1 დანიის დასისა და 2 გლეხთა კავშირისა. ხელახლა არ არჩევანების შემდეგ—36 კონსერვატორი, 117 სოციალ-დემოკრატი, 24 თავისუფალ მოაზრენი, 62 ნაციონალ-ლიბერალი, 11 თავისუფალი მოაზრე (?), 4 ელზასელი, 8 პოლონელი, 11 მთავრობის დასისა, 4 ანტისემიტი, 31 ცენტრის დასისა, 8 ყოველ დასთა გარეშენი, 5 გლეხთა კავშირისა, 8 გერმანიის სახალხო დასისა 8 ველფი და 6 რეფორმათა დასისა.

ბოგოტა. რადგანაც არაკიპში რამდენიმე შემთხვევა იყო შავის შავის ჭირისა, პანამაში პერუდგან მოსულ გემებისთვის დადგენილია კარანტინი. ვადა არ არის დანიშნული.

პეტერბურგის ბირჟა, 3 ივნისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,85
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	37,32 1/2
ლონდონში ჩეკები	94,60
ბერლინში ,, ...	46,30
პარიჟში ,, ...	37,57 1/2
პარიჟის დისკონტი	5 - 5 1/2 %
5% სახელმწიფო რენტა	98 3/8 გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	100 7/8 მყიდ.
4% გირავნ. ფურც სახელ. საადგ. მამულო ბანკის	95 1/8 მყიდ.
5% ლ შინგ. სესხის მოგებ. ბილ. 1864 წ.	435 1/2 წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მოგებ. ბილ. 1866 წ.	334 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. .	284 1/2 წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4 1/2% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . .	—
4 1/2% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	91 1/2 წვ. გაყ. (?)
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, „ „ „	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	3300 გაყ. *)
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	380 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. . .	—

---

*) უდევიმდე დოდ 150 მან.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით.)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს; 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № 9/10 დილის 6 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 11 ს. 22 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 21 წ. 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ.

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 4 ს. 40 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ.; 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 01 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.

ბათუმისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

შორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

სასამართლოს შესახები ცნობანი.

7 ივნისისათვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად:

1) ივანე მანველოვისა, დავით, ალექსანდრე და სხ. სუმბათოვების და ოჰანეზ გალუსტოვის დავა.

2) პავლე ასლანოვისა და ლაგოდეხის საზოგადოების დავა.

3) ივანე ტერ-პეტროსოვისა და კონსტანტინე ბაგრატიონ მუხრან ბატონის.

4) ივანე კვალიევისა და აბრამ ასლამაზიშვილის საქმე.

5) დიმიტრი ბუშლიშვილისა და ვიქტორ ტიბოს საქმე.

6) ესტატე შებინიასი და თ. მინგრელსკის საქმე.

7) დიტიატკოვსკის ამხანაგობის საქმეთა მწარმოებელ იოსებ ტერ-ოჰანეზოვისა და ვასილ კარბელაშვილის საქმე.

განცხადება

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, საყოველთაოდ, რომ ამა წლის, 10 ივნისს, შუადღის 12 საათზე დანიშნულია ვაჭრობა აფიშების გასაკვრელ სამი ბოძის იჯირით გასაცემად, რომელიც ვაჭრობისთვისაც არის მოწყობილი

მსურველთ პირობების შეტყობა შეუძლიანთ გამგეობის მეოთხე განყოფილებაში, ყოველ დღე, კვირა უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე,

(2—6.—1)

გამოვიდა და იყიდება ყველგან

„ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნი

ბარტეკ ძლევამოსილი

ჰენრიკ სენკევიჩისა

IV+106 გვ. ფასი 20 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომაურისა, ფასი 5 კაპ.

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოცემა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общес-

დაიბეჭდა და დაურიგდა ქართულის წიგნის ყველა მაღაზიას გასასყიდათ ახალი ქართული წიგნი

„ჩვენს დედებს“

პედაგოგიური წერილები ალ. ნათაძისა.

ფ ა ს ი 25 კაპ.

ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა, ალ. ნათაძეს.

იხეიდება იაფად

როიალი

არტილერიის ქუჩა № 5 ეზოში, ზემო სართულში.

ადრესი: „ჯეჯილის“ რედაქციაში.

(5—6—2)

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტფილისში

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ.

ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად, დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების საათფთიაქო და ქიმიური საქონელი, მკურნალი წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებლი ნივთეულობა, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბარატორიისათვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის სალებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები —სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ, და სხვ.

ადრესი ფოსტისა და დეპეშისა: Тифлисъ Товарищество Фармацевтовъ.

(100—32)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 іюня 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Діасамидзе, дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი სარაჯიშვილი